საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის

ბრძანება №11/053

2014 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

ნავთობის გადამუშავების ლიცენზიის, ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის სალიცენზიო მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, 25^5 მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკისა მინისტრის 2013 წლის 13 მაისის №93 ბრძანების მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ნავთობის გადამუშავების ლიცენზიის, ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის სალიცენზიო მოწმობების თანდართული ფორმები.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ნავთობის გადამუშავების და ბუნებრივი გაზის დამუშავების საქმიანობის ლიცენზიის ფორმის დამტკიცების შესახებ'' ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2007 წლის 6 ნოემბრის №1/003 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს უფროსი **გიორგი ტატიშვილი**